საჭიროა მეტი მონდომებული, ენერგიული თამაში

ფეხბურთის მრავალრიცხოვან მაყურებელთა მეხსიერებაში თბილისის "დინამო" ცოცხლობს როგორც დიდი ნებისყოფის მქონე, შემტევი სტილის კოლექტივი. მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში გუნდმა მისი ეს დამახასიათებელი თვისებები ერთგვარად დაკარგა. პირველ მაისს ხარკოვის "ლოკომოტივთან" შეხვედრაში კვლავ თავი იჩინა ტაქტიკური ხერხების სიღარიბემ. დინამოელთა თავდამსხმელები ცალ–ცალკე და გაუბედავად მოქმედებდნენ, აყოვნებდნენ გადამწყვეტ მომენტებში, კარში ზუსტად არ აწარმოებდნენ დასკვნითს დარტყმებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყოველთვის, ენერგიულად და ნაყოფიერად მოქმედებდა "დინამოს" გუნდის კაპიტანი ა. ღოღობერიძე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნახევარმცველის რ. მახარაძის თამაში. მის მაგალითზე ნათელი ხდება გადამწყვეტი მნიშვნელობა ნახევარმცველის უნარისა – დაცვის ფუნქციის მაღალხარისხოვნად შესრულებასთან ერთად დროზე გაიჭრას წინ და ამით შექმნას თავისი გუნდის მოთამაშეთა რიცხობრივი უპირატესობა მოწინააღმდეგის კართან, ხოლო ხელსაყრელ შემთხვევაში თვითონვე მოახდინოს გადამწყვეტი დარტყმა.

"დინამოს" მცველები ელოშვილი და სარჯველაძე მოქნილნი და სწრაფად მოძრავნი არიან, მტკიცედ თამაშობენ, მაგრამ დაძაბულ მომენტებში ისინი ყოველთვის არ ავლენენ აუცილებელ მოსაზრებულობას, არასაკმაოდ ზუსტად აწვდიან ბურთს თავიანთ პარტნიორებს, ხშირად კი ინდივიდუალური თამაშით ერთობიან საკუთარ კართან, რაც ბევრჯერ ქმნის აშკარა საფრთხეს. სულ უფრო დამარწმუნებლად და გააზრებულად თამაშობს ცენტრალური მცველი გოგლიძე.

გუნდში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი ცენტრალური თავდამსხმელის საკითხი. კალოევი, მართალია, მონდომებით თამაშობს, მაგრამ მას არ გააჩნია უნარი გააერთიანოს თავის პარტნიორთა მოქმედება თავდასხმაში. ცენტრალური თავდამსხმელი ტაქტიკური კომბინაციების ინიციატორი უნდა იყოს. მან უნდა უზრუნველყოს თამაშის მაღალი ტემპი, რასაც სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.

თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა დინამოელთა ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობით. სტუმრები უმთავრესად დაცვის ტაქტიკას დაადგნენ. მათი ცენტრალური თავდამსხმელი ბორზენკო ძირითადად შემოიფარგლა ზურგიდან შეტევის მოწყობით, გრძელი გადაცემებით, თავისი პარტნიორების წინ გაყვანით. სწრაფად და ენერგიულად მოქმედებდა ჩიჟოვი (№8), მაგრამ იგი ხშირად მოუფიქრებლად ირჩევდა ადგილს და ამიტომ ბევრჯერ აღმოჩნდა "თამაშგარე" მდგომარეობაში.

დინამოელთა თავდასხმის ძირითად ნაკლს ამჯერად, ისევე როგორც წინა შეხვედრებში, წარმოადგენს ბურთის დიდხანს გაჩერება და ამის გამო დასკვნითი დარტყმების დაყოვნება. სწორედ ამან არ მისცა მათ საშუალება წარმატებით დაესრულებინათ ბევრი იერიში, კარში დარტყმები არაზუსტი, ან კიდევ სუსტი იყო. მე–16 წუთზე კოტრიკაძემ მაღალი ბურთი ჩააწოდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ღოღობერიძემ დააყოვნა და ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუშვა. მაგრამ აი მარცხენა მხრიდან წინ გაიჭრა თოდრია (№11). მას უხეშად მოექცნენ და "ლოკომოტივი" დაჯარიმდა. თოდრიამ ზუსტად ჩააწოდა საჯარიმო მოედანზე. ღოღობერიძემ მოასწრო კარიდან გამოსულ მეკარეს და ბურთი თავური დარტყმით ბადეში გაახვია. 1:0. პირველ 45 წუთში სხვა რამ არსებითი არ მომხდარა.

უფერულად და უინიციატივოდ ჩაატარა თამაშის პირველი ნახევარი კ. გაგნიძემ. უნდა ითქვას, რომ კოტრიკაძე ნაკლებად იყო თამაშში ჩაბმული და ბურთი ძირითადად მარცხენა ფლანგზე ტრიალებდა. დინამოელები საერთოდ ნაკლებად იყენებენ ერთი ფლანგიდან მეორეზე თამაშის მოულოდნელად გადატანას, რაც ხშირად კარგ შედეგს გამოიღებდა.

თამაშის მეორე ნახევარი დინამოელებმა სწრაფი ტემპით დაიწყეს. უფრო აქტიურად მოქმედებდნენ ანთაძე, გაგნიძე და თოდრია. 57–ე წუთზე თოდრიამ ბურთი ჩააწოდა კარის გასწვრივ და კოტრიკაძემ ძლიერი დარტყმით იგი ბადისაკენ გაგზავნა. მაგრამ ეროშინმა (№3) ბურთი ხელით გააჩერა. მსაჯის ედიგარიანის მიერ დანიშნული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ა. ღოღობერიძემ ზუსტად გამოიყენა – 2:0.

სტუმრებმა სცადეს ანგარიშის შეცვლა, მაგრამ უშედეგოდ. ამრიგად, თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:0.

აღნიშნული გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრას შედეგი არ მოუცია – 0:0.

დ. ცომაია, საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში.

“ლელო”, 6 მაისი, 1953 წ.